ბოტოქსი წონის დასაკლებად

„ახალ სიცოცხლეში“ ახალ მეთოდს გვთავაზობენ

ექიმებმა ბოტოქსს ახალი დანიშნულება უპოვეს — ის ადამიანებს გახდომაში ეხმარება. რამდენიმე წელია, რაც ქირურგიის ეროვნული ცენტრის ჯლინიკა „ახალ სიცოცხლეში“ ჭარბწონიან ადამიანებს წარმატებით მკურნალობენ — უტარებენ სლივგასტრექტომიას (კუჭის სიგრძივი ნაწილის ამოკვეთას) ლაპაროსკოპიულად და კუჭის ენდოსკოპიურ ბალონირებას, ახლახან კი ჭარბ წონასთან ბრძოლის მეთოდების არსენალს კუჭის ლორწოვანში ბოტოქსის ინექციაც შეემატა.

ამის შესახებ „ახალი სიცოცხლის“ ენდოსკოპიური სამსახურის უფროსი, ქირურგი-ენდოსკოპისტი ირაკლი პაიჭაძე გვესაუბრა:

— კუჭში ბოტოქსის ინექცია საკმაოდ ადვილად ჩასატარებელი პროცედურაა. ბოტულინის ტოქსინი (ბოტოქსი, დისპორტი ან სხვა ალტერნატიული საშუალება) ენდოსკოპით (გასტროსკოპით) შეგვყავს კუჭის ლორწოვანი გარსის შესაბამის უბანში. ეს იწვევს კუჭის მოცულობის შემცირებას და დროებით — 4-6-თვიან — გასტროპარეზს. შედეგად კუჭი შიგთავსისგან შედარებით ნელა იცლება და პაციენტს უფრო მეტხანს გაჰყვება დანაყრების გრძნობა. ამასთან ერთად, ბოტოქსის ინექცია თიშავს მადისა და შიმშილის ნერვების დაბოლოებებს და თრგუნავს გრელინის (შიმშილის ჰორმონი) გამოყოფას.

როდის რომელი

● ***ამ სამი მეთოდიდან (სლივგასტრექტომია, ბალონირება, ბოტოქსის ინექცია) როდის რომელია რეკომენდებული?***

— სამივეს თავ-თავისი ჩვენება აქვს. არჩევანი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის — სხეულის მასის ინდექსზე. ბარიატრიული ოპერაციები (მათ შორის — სლივგასტრექტომია) უტარდებათ პაციენტებს, რომლებსაც 40 კგ-ზე მეტი ჭარბი წონა აქვთ. ბალონირება და ბოტოქსის ინექცია 15-იდან 35 კგ-მდე წონის დაკლების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია ენდოსკოპიური და ლაპაროსკოპიული მეთოდების კომბინირებაც, რაც მაქსიმალურ შედეგს იძლევა. ბოტოქსის ინექცია რეკომენდებულია მათთვის, ვისაც 15-25 კილოგრამის დაკლება სჭირდება.

პროცედურა

— ბოტოქსის ინექციამდე პაციენტს უტარდება ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია (გასტროსკოპია) და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. თავად ბოტოქსის შეყვანის პროცედურა 30 წუთი გრძელდება. ტარდება ხანმოკლე ანესთეზიით და პაციენტი გაღვიძებისთანავე გრძნობს შედეგს — სიმაძღრეს და მადის დაქვეითებას.

● ***რა უპირატესობა აქვს ბოტოქსის ინექციას?***

— მკურნალობა ამბულატორიულია, პაციენტი იმავე დღეს ეწერება ბინაზე და უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს;

უმტკივნეულოა;

არ მოითხოვს რეაბილიტაციას;

ეფექტურია;

აქვეითებს მადას და შიმშილის შეგრძნებას;

არის სიმსუქნით გამოწვეული დაავადებების პრევენციის საშუალება;

არ აზიანებს კუჭის ლორწოვანს;

ტარდება ენდოსკოპიურად, რასაც წინ უძღვის კუჭის ლორწოვანის დეტალური და ვიწრო სპექტრით გამოკვლევა.

ხშირად დასმული კითხვები

● ***აქვს თუ არა კუჭში ბოტოქსის ინექციას უკუჩვენება?***

— უკუჩვენებებია საყლაპავის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ბოლქვის მწვავე წყლულოვანი დაავადება, ნაღველკენჭოვანი დაავადება, სიმსივნე, განსაზღვრული ტიპის ენდოკრინული დარღვევები.

● ***რა გვერდითი მოვლენები აქვს პროცედურას?***

— ინექციის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში პაციენტთა 5% უჩივის მსუბუქ გულისრევის შეგრძნებას და პირში უსიამოვნო გემოს.

● *რამდენ ხანში გაიწოვება ბოტოქსი?*

— 4-6 თვეში.

● *საჭიროა თუ არა განმეორებითი ინექცია?*

— ამის საჭიროებას ვადგენთ პაციენტსა და პროცედურის შედეგებზე დაკვირვების შემდეგ.

● ***რამდენ ხანში დგება სასურველი შედეგი?***

— წონის კლება პროცედურის დღიდანვე იწყება და ნელ-ნელა, ჯანსაღად მიმდინარეობს. ინექცია გრძელვადიან შედეგზეა ორიენტირებული. პაციენტი რამდენიმე თვის განმავლობაში რჩება ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ და იცავს საგანგებოდ შერჩეულ დიეტას. საბოლოო შედეგს 5-6 თვეში ვიღებთ.

ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა „ახალი სიცოცხლე“
მისამართი: თბილისი (დიღომი), ლუბლიანას ქ. 29.
ტელ:. 577059900
www.kirurgia.ge
facebook: ახალი სიცოცხლე/axali sicocxle